სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

ექსპერტის დასკვნა
FORENSICS REPORT



თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო
NATIONAL FORENSICS BUREAU

№ 5003843225

02/07/2025

5003843225

შპს "ირბისის" წარმომადგენელს ქალბატონ ელენე ბეთანელს

(ქ. თბილისი გორგასლის ქ. 105)

ქალბატონო ელენე,

ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო, თქვენი მომართვის (ბიუროს 2025 წლის 10 თებერვლის რეგისტრაციის N1001020625) საფუძველზე, გიგზავნით საინჟინრო ექსპერტიზის N004237625 დასკვნას.

დანართი:

ექსპერტის დასკვნა 05 ფურცლად;

საპროექტო დოკუმენტაცია - ერთი ფუთა

პატივისცემით,

გიორგი თვაური
ბიუროს უფროსი

თბილისი, 0162, ი. ჭავჭავაძის გამზ. 84
ქუთაისი 4600, ი. ჭავჭავაძის გამზ. 2ა
ბათუმი, 6000 პ. მელიქიშვილის ქუჩა 102

84 Chavchavadze Ave., Tbilisi 0162
2a I. Chavchavadze Ave., Kutaisi 4600
102 P. Melikishvili Str., Batumi 6000

+995 32 2 258 484 | info@expertiza.gov.ge | expertiza.gov.ge

5003843225

ელექტრონული დოკუმენტის ასლის მატერიალურ დოკუმენტთან თანაბარ იურიდიულ ძალას ვადასტურებ,
ხელმოწერისთვის პასუხისმგებელი პირი _____

თარიღი 03.07.2025 _____ (ხელმოწერა) გ.ა



004237625

ექსპერტის დასკვნა № 004237625

გაფრთხილება

კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი ს(დეპარტამენტი) უფროსის მიერ განმემარტა ექსპერტის უფლება-მოვალეობები, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 168-ე და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 51-ე და 52-ე მუხლებით. ამასთან, ცრუ ჩვენების, ყალბი დასკვნის, საექსპერტო კვლევის ობიექტის დაუცველობისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გაფრთხილებული ვარ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 370-ე მუხლის შესაბამისად.

ექსპერტიზის ჩატარების საფუძველი

ექსპერტიზის სახეობა: საინჟინრო ექსპერტიზა

დამნიშნავი:

ორგანიზაცია: შპს ირბის

თანამდებობა: წარმომადგენელი (მინდობილობით)

მისამართი: ქ. თბილისი გორგასლის ქ. 105

სახელი და გვარი: ელენე ბეთანელი

საფუძველი: განცხადება

შემსრულებელი ექსპერტები:

დათო ფირყულაშვილი / კირიაკ ზავრიევის სამშენებლო მექანიკის, სეისმომედეგობის და საინჟინრო ექსპერტიზის ცენტრი (დეპარტამენტი)ს სამშენებლო მექანიკისა და ნაგებობათა სეისმომედეგობის სამმართველოს ექსპერტი, სპეციალობით მუშაობის 18 წლის სტაჟით.

ექსპერტიზის წინაშე დასმული კითხვები

მოგმართავთ თხოვნით, დაჩქარებული წესით მოამზადოთ ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105, საკადასტრო კოდი # 01.18.09.006.017 აშენებულ შენობა-ნაგებობებზე მიშენებისა და დაშენების კონსტრუქციული პროექტის საექსპერტო დასკვნა

შემოსვლის თარიღი: 10/02/2025 წ

გასვლის თარიღი: 02/07/2025 წ

დასკვნა

ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსში „6“÷„9“ - „თ“÷“ი“ ღერძებში სამსართულიანი მიშენების შესაძლებლობის დადგენის შესახებ დანიშნულ საინჟინრო ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ პროექტში მიღებული გადაწყვეტები ძირითადად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - კმაყოფილდება როგორც მიშენების კონსტრუქციის მზიდუნარიანობისა და მდგრადობის პირობა, ასევე არ ფიქსირდება უარყოფითი ზეგავლენა არსებულ კონსტრუქციებზე

დათო ფირყულაშვილი

გამოკვლევა

საინჟინრო ექსპერტიზაზე განხილულია ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსში სამსართულიანი მიშენების შესაძლებლობის განსაზღვრა.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია პროექტის არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილი, მიშენების საანგარიშო მოდელი, ტერიტორიის გეოლოგიური კვლევები, ქვაბულის სტრუქტურული ანგარიშები და ნახაზები, არსებული ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა, ხიმინჯების უწყვეტობის კვლევა.

კონსტრუქციულ ნაწილში მოცემული გადაწყვეტის მიხედვით საპროექტო ტერიტორიაზე განლაგებულია ორი ცალკე მდგომი შენობა A და B ბლოკი, რომელთა მზიდი კონსტრუქციები შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის ჩარჩო-კავშირებიანი სისტემით. ბლოკების ვერტიკალურ მზიდ ელემენტებად მიღებულია სართულების მიხედვით ცვალებადი განივკვეთის (60x100, 40x100 სმ) მქონე სვეტები, სართულშორისი გადახურვის ფილების სისქედ მიღებულია 18 სმ, კარკასში გამოყენებულია მართკუთხა განივკვეთის (40x50 სმ) რიგელები. საძირკვლების კონსტრუქციად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის 150 და 120 სმ დიამეტრის დაყრდნობილი ხიმინჯები, სარდაფის ძირზე გაერთიანებული 100 სმ სისქის ფილით. მიწისქვეშ შენობის მთელ პერიმეტრზე მოწყობილია მონოლითური რკინაბეტონის კედლები. კიბეების კონსტრუქცია ასევე შესრულებულია მონოლითური რკინაბეტონის გამოყენებით.

ბლოკებს შორის -2, -1 და 0 სართულებზე მოწყობილია ბლოკების ფუნქციურად გამაერთიანებელი მოცულობა, რომელიც ასევე რკინაბეტონის კონსტრუქციითა შესრულებული. წარმოდგენილი საპროექტო გადაწყვეტის მიხედვით სამსართულიანი მიშენებაც -2, -1 და 0 სართულების დონეზე უნდა შესრულდეს. განთავსების ადგილია „6“÷„9“ - „თ“÷“ი“ ღერძები, იხილე ფოტო 1, 2.

მიშენების კონსტრუქციულ სქემად მიღებულია მონოლითური რკინაბეტონის კარკასი, რომლის ვერტიკალური ელემენტებია კვადრატული განივკვეთის 40x40 სმ სვეტები, ჰორიზონტალური - 40x50 სმ განივკვეთის რიგელები, 20 სმ სისქის სართულშორისი გადახურვის ფილა, 50 სმ სისქის საძირკვლის ფილა და პერიმეტრზე გრუნტთან შეხებაში მყოფი რკინაბეტონისავე კედლები.

მიშენება დაპროექტებულია როგორც ცალკე მდგომი ობიექტი, არსებულ ობიექტთან კონსტრუქციული კავშირის გარეშე - მიშენებას და არსებულ შენობას შორის მთელს სიმაღლეზე, საძირკვლების ჩათვლით მოწყობილია სადეფორმაციო ნაკერი. პროექტის მიხედვით მიშენება დაყრდნობილია კენჭნარ გრუნტზე.

საპროექტო ტერიტორია განსაზღვრულია შემდეგი კლიმატური პირობებით:

ქარის სიჩქარე - 33.0 მ/წმ

თოვლის საფარის ზონა - 0.50 კპა

საერთო მიკროდარაიონებისა (პნ. 01.01-09) და წარმოდგენილი საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგების მიხედვით სამშენებლო მოედანის საანგარიშო სეისმურობა MSK-64 სკალით შეადგენს 8 ბალს.

ექსპერტიზაზე წარმოდგენილია მიშენების საანგარიშო მოდელი, რომლებიც შედგენილია პროგრამული კომპლექს „ЛИРА“-ს მეშვეობით სასრული ელემენტების მეთოდის საფუძველზე. სივრცით ანგარიშებში მოცემულია ღეროვან-ფირფიტოვანი სივრცითი სისტემები.

საანგარიშო მოდელის სტრუქტურული ანგარიში შემოწმდა პროგრამულ კომპლექს „ЛИРА®-САПР 2021 (R2.3.1)x64“-ში, ლიცენზიის ნომერი #4713 მოქმედი სეისმური ნორმის („პნ 01.01-09“) გათვალისწინებით.

ექსპერტიზაზე ჩატარებული ანგარიშით დადგინდა, რომ პროექტში მიღებული გადაწყვეტები ძირითად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - კმაყოფილდება როგორც მიშენების კონსტრუქციის მზიდუნარიანობისა და მდგრადობის პირობა, ასევე არ ფიქსირდება უარყოფითი ზეგავლენა არსებულ კონსტრუქციებზე.

ამრიგად, ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიან საცხოვრებელ კომპლექსში „6“÷„9“ - „თ“÷“ი“ ღერძებში სამსართულიანი მიშენების შესაძლებლობის დადგენის შესახებ დანიშნულ საინჟინრო ექსპერტიზაზე წარმოდგენილი მასალების შესწავლამ აჩვენა, რომ პროექტში მიღებული გადაწყვეტები ძირითადად შესაბამისობაშია მოქმედი ნორმებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან - კმაყოფილდება როგორც მიშენების კონსტრუქციის მზიდუნარიანობისა და მდგრადობის პირობა, ასევე არ ფიქსირდება უარყოფითი ზეგავლენა არსებულ კონსტრუქციებზე.

დათო ფირყულაშვილი

გამოყენებული მასალები

ქალაქ თბილისში, გორგასალის ქუჩა #105-ში (ს.კ. 01.18.09.006.017) მშენებარე მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის საპროექტო დოკუმენტაცია - არქიტექტურული და კონსტრუქციული ნაწილები;

მშენებლობისათვის გამოყოფილ უბანზე ჩატარებული საინჟინრო გეოლოგიური კვლევის შედეგები;

მიშენების კონსტრუქციული ნახაზები;

მიშენების საანგარიშო მოდელი;

ქვაბულის სტრუქტურული ანგარიშები და ნახაზები

არსებული ობიექტის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა;

ხიმინჯების უწყვეტობის კვლევა

გამოყენებული ლიტერატურა (სტანდარტი, რეგლამენტები...)

1. პნ 01.05-08 - სამშენებლო კლიმატოლოგია;

2. პნ 01.01-09 - სეისმომედეგი მშენებლობა;

3. პნ 02.01-08 - შენობების და ნაგებობების ფუძეები;

4. პნ 03.01-09 - ბეტონისა და რკინაბეტონის კონსტრუქციები;

5. СНиП 2.01.07-85* - Нагрузки и воздействия, М.: 1987;

6. СНиП 2.03.01-84* - Бетонные и железобетонные конструкции, М.: 1989;

7. СНиП II-23-81* - Стальные конструкции;

8. Руководство по конструированию бетонных и железобетонных конструкций из тяжелого бетона (без предварительного напряжения) М.: 1978;

9. Пособие по проектированию бетонных и железобетонные конструкциии из тяжелых и легких бетонов без предварительного напряжения арматуры (к СНиП 2.01.03-84), М.: 1986

ექსპერტის დასკვნა ტექნიკური წესით გადაამოწმა: ზაზა ყიფიანი

ექსპერტის დასკვნა ადმინისტრაციული წესით გადაამოწმა: ბადრი ლეფსაია

ფოტოილუსტრაცია



ფოტო 1



ფოტო 2

სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო

